ეროვნული ბიბლიოთეკა
Ґ. 32° 451.
მ.-ლ. ი. ბიბლიოთეკა
F 125
2
Библиотека И. М. Л.

საუმაწვილო ამბები

ფრანგულიდამ გადმოღებული

ანასტ. თუმანიშვილის
მიერ.

თბილისი 1887

გრ. ჩარკვიანის სტამბა.

782
ბ 32-451
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲚᲚᲐᲚᲣᲠᲘ

საუმაწვილო ამბები

ფრანგულიდამ გადმოლებული

ᲐᲜᲐᲡᲢ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲛᲘᲛᲔᲠ.

Გ 1895/2

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1887

გრ. ჩარკვიანის სტამბა.

46,[1]ᲒᲠ.(17×11), ᲤᲐ.20Გ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

FS 2095

Дозволено Цензурою Тифлисъ, 20 Ноября 1886 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

№№		გვერდი.
1	მოჯიკჯიკე მერცხალი.	1
2	ლომი	2
3	როგორ იპოვეს ნაქურდალი	4
4	ჯიანჯველა	6
5	არწივი და ჩიტები	7
6	მტრობის სამაგიერო	9
7	დარიბთ-მოწყალე ცხენი	11
8	სულელი ბეტრე	13
9	სხვის ძრახვა ადვილი ყოფილა . . .	15
10	დაუდევარი ამხანაგი	17
11	შავი მამალი	19
12	ბაბა.	21
13	თილისმის ყუთი	23
14	ფულის ქისა.	26
15	ჭირი	28
16	ყალთაღები.	30
17	მეფის ამორჩევა ბირუტყვებში. . . .	32
18	გადია-ქალი	35
19	ფერიას გორგალი.	39
20	ბიქიას ნაამბობი	42

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ო ლ ი ა ლ ფ ა რ ი

1. მოჭიკჭიკე მერცხალი.



ატარა ნუცა ძალიან კაი ყმაწვილი იყო, მხოლოდ ახირებულად ტიტინი იცოდა; ერთ წუთს ენას არ დააყენებდა, მეტადრე როდესაც დედ-მამა გვერდით ეგულებოდა.

ერთხელ ბაღში ყველანი ერთად ხის ძირს ისხდნენ, ნუცა ჩვეულებრივ ტიკტიკებდა. ამ დროს მერცხალი მოფრინდა სწორედ იმ ხეზედ, რომლის ძირსაც ესენი დამსხდარიყვნენ. ნუცას ჯერ ძალიან იამა მერცხლის ჭიკჭიკი, მაგრამ, რაკი ფრინველი აღარ აპირებდა დაჩუმებას და ამასაც უშლიდა ტიკ-ტიკს, მოუთმენლად წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავი არ წაიღო ამ მერცხალმა! აი თუ დაღალული მივა თავის ბუდეში!



— მეცა მყავს ერთი მაგისთანა მერცხალი, უთხრა მამამ, ამისავით დაუღალავად ჭიკჭიკებს, მაგრამ თავი კი ჯერ არ მოუბეზრებია და არც დაღალვა ეტყობა ხოლმე.

ნუცა საშინლად წამოწითლდა და მას აქეთ დაიშალა უთავ-ბოლო ტიკტიკი.

ᲖᲚᲝᲛᲘ.

ერთ ქალაქში ლომი ჩამოიყვანეს ხალხის საჩვენებლად. აკი ერთხელ არ გამოქცეოდათ ეს დამწყვდეული პირუტყვი და გაშმაგებული და გააფთრებული დარბოდა ქუჩაში. ერთ წამში ყველა გამლელ-გამომლელნი მიიმალნენ. ამ დროს ერთი დედაკაცი, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც შვილი აყვანილი ჰყავდა გარდადიოდა ქუჩას. რა დაინახა გამოქანებული ლომი სწრაფად გაეშურა, რომ გადაეჭრა ქუჩა და თავი შეეფარებინა ერთ სახლში, სადაც კარები კიდეც გაეღოთ საშველად; მაგრამ პირუტყვის სიახლოვით ისე შეკრთდა რომ წაიბორძიკა და შვილი ხელიდამ გაუვარდა. ერთს წუთს საშინელ მდომარეობაში ჩავარდა საბრალო დედა, თუ დაიხრეობდა შვილის ასაყვანად თითონაც და ყმაწვილიც ლომს ველარ გადურჩებოდნენ და თუ შვილისთვის დაენებებინა თავი ლომს ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა ყმაწვილი. პირუტყვმა კიდეც ჩაავლო პირი ბავშსა, ერთ წუთსაც კიდევ რომ გაეგლო ყმაწვილის სახსენებელიც ალარ იქნებოდა, მაგრამ მშობლის გულმა იპოვა სახსარი. ერთი საშინლად დასჭყივლა და მივარდა პირუტყეს ამ სიტყვებით:

„— ლომო, მომე ჩემი შვილიო, და სტაცა ბავშს ხელი.

დედის გამწარებულმა სანახაობამ და საზარელმა ბღავილმა თითქოს ლომსაც შეაბრალა თავი. პირუტყვმა ბავში მაშინვე პირიდამ გაუშვა და ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამპარტავნულად გასწია თითქოს თითონვე ძოსწონდა თავისი საქციელი.

3. როგორ იპოვეს ნაქურდალი.

ერთხს დაეკარგა ერთი კაი ცხენი; ეძება, ეძება დიდ ხანს და ბოლოს წავიდა ცხენების გამყიდავთან სამაგიეროს სასყიდლად, სწორედ აკი იქ არ ნახა თავის ცხენი, გახარებულმა აღვირში ხელი სტაცა და შესძახა: „ეს ხომ ჩემი დაკარგული ცხენიაო!“

—ნუ ჩქაროობთ აგრე, ძმაო, უთხრა თავაზიანად ცხენების გამყიდავმა,—მე ეგ ცხენი წელიწადი იქნება რაცა მყავსო. შესაძლებელია, შენ ცხენს ჰგავდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლეხმა სწრაფლად ორივე ხელები დააფარა ცხენს თვალებზედ და უთხრა: „აბა, თუ შენია, სთქვი რომელი თვალი აქვს დაშავებული.“ ცხენის ქურდმა დაუთვალიერებლად ალალ ბედზედ უპასუხა: „მარცხენა თვალიო!“

—ნუ რას უკაცრავოდ, მარცხენა თვალი საღი აქვს, მიუგო ბლეხმა.

—შევცდი, შევცდი, საჩქაროდ მოასწრო გაიძვერამ,—უნდა მარჯვენა მეთქვაო.

ბლეხმა მოაშორა ცხენს ხელები და სთქვა:

—როგორ გეტყობა, რომ ქურდი და მატყუარა ხარ, ცხენს არც ერთი თვალი არა აქვს გაფუჭებული. მინდოდა მხოლოდ გამომეცადე.

მაყურებლებმა ტაში დაჰკრეს და აიტეხეს სიცილი. ცხენი პატრონმა წაიყვანა და ქურდი დაატუსაღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ჯიანჭველა.

ხალგაზდა შაქროს გული ვერაფერ საქმეზედ ვერ დაემყარებინა, ამოირჩევდა რაიმე ხელობას, ერთი ორი წელიწადი იმუშაებდა და მერე ისევ თავს დაანებებდა. ერთხელ მწუხარებით შესძახა თავის ბიძას: „რა ვქნა, რომ ვერც ერთი ხელობა ვერ შევითვისე.“ ბიძიამ ლიმილით ჩაჰკიდა ხელი, გაიყვანა ეზოში და უჩვენა ჯიანჭველის გროვა, სადაც ერთ ჯიანჭველას აჰქონდა თავის თავზედ ერთი ორად დიდი ხორბლის მარცვალი. ის ის იყო როგორც კი აიტანა ზემოდ—ისევ უკან დაუგორდა; ხელ მეორედ უნდა დაეწყო საქმე. ჯიანჭველას მოთმინება არ დაუკარგავს; აიღო კიდევ მარცვალი და ალმართს შეუდგა. მარცვალი ხელ-ახლად ჩამოუგორდა, კიდევ შეუდგა ალმართს. ასე დიდხანს უყურებდნენ ბიძა და ძმისწული ამ უზომო შრომას და თითქმის მეოთხმოცეჯერ ჯიანჭველამ თავისი აასრულა და მარცვალი ბინაზედ მიიტანა. მაშინ შაქრომ წამოიძახა: „ეხლა კი ადვილად ვიპოვი საქმეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. არწივი და ჩიტები.

ერთმა უსინათლო მოხუცმა მოინდომა ენახა თავისი და, რომელიც ამათგან კაი მანძილზედ სცხოვრებდა. თორმეტი წლის შვილი შვილი გაიძღოლა და გაუდგა გზას. გზა ტკეცილზედ კარგად მიდიოდნენ, მაგრამ დიდი ტყე ედოთ გასავლელი. შევიდნენ თუ არა ატყდა ჭექა-ქუხილი, ისეთი ნიაღვარი მოვიდა, რომ სულ წალეკა არე მარე. ძრიელი ქარი ჩვენ მგზავრებს სულს უგუბებდა და გზას უხშავდა. თუმცა მალე გამოიდარა, მაგრამ გზის პოვნა მაინც გაუძნელდათ რადგან ტყიდამ მთის წვერების მეტი არა სჩანდა რა; მოხუცმა უმაწვილი მაღალ ფიჭვის ხეზედ აგზავნა არე მარეს დასათვალიერებლად, იქიდამაც მხოლოდ ვაკეები მოჩანდა იმოდენა ნიაღვრის დაგუბებული წყლით, რომ დიდ ტბას მიემსგავსებოდა.

— ვერც აქედამ ვხედავ გზა და კვალს, წამოიძახა ნაღვლიანად უმაწვილმა,—არ საიდამ არც კომლი მოჩანს, არც სოფელი, არც მწყემსები,— ძე ხორციელის ჭაჭანებაც არ არი.

— აბა, ფრინველი რამ დაათვალიერე და დაიცქერდი კარგად თუ საით მიფრინვენ! უთხრა უსინათლომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპავ, მე მხოლოდ არწივსა ვხედავ, რა ნაირად დინჯად აფრინდა ტყიდამ და მარჯვნით გასწია.

— მაშ ნუ წავალთ მარჯვნით, ეგ ნიშნავს, რომ მანდეთ უდაბური კლდეღრეა.

Ოლტა ხანს შემდეგ ყმაწვილმა წამოიძახა:

—აი კიდევ აფრინდა პატარა ჩიტების გუნდი რა ფრთების ქნევით მიეშურებიან მარცხნით-ვაკისაკენ.



—მაშ გზა გვიპოვია, შვილო, სთქვა მოხუცმა,—არწივი უდაბნო ადგილებში იკეთებს ბუდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ჩიტები კი ეტანებიან იმ მხარეს, საცა ხალხი სცხოვრებს, რადგან იქ პოულობენ საზრდოს: პურის მარცვლებს, ხეხილის ნაყოფს და ჩვენი მოსავლის დრო იმათი აღდგომაა. მაშ ჩვენც მარცხნით გავწიოთ.

და მართლა რამდენიმე საათის შემდეგ ესენი მიადგნენ ერთ მდინარის პირს, საიდამაც დაინახეს კომლი, გაუხვიეს იქითკენ და მალე მოესმათ ცულის ხმა და ტყის კაფის ხმაურობა; აქ დახვდათ შეშის მჭრელები, რომელთაც ადვილად მიასწავლეს გზა.

6. მტრობის სამაგიერო.

ერთხელ ბატონი და მსახური რაღაც საქმისთვის მიდიოდნენ. ქუჩაში წააწყდნენ ერთს მოხუცებულს და ძალზედ მოუძლურებულს მთხოვარს. მსახური ჯერ ამ მთხოვარს სახეში დიდხანს ჩააცქერდა და მერე ბატონს დაუწყო თხოვნა და ვედრება: ეს გლახაკი სახლში წავიყვანოთ, მადლიაო. ბატონი ჯერ დიდ უარზედ იდგა; მსახური არ მოეშვა ხვეწნას. ბოლოს ერთგულ მსახურს უარი ვეღარ უთხრა და დაუჯერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისელის უმალ მთხოვარი ავად გახდა. ძსანურ-
რი თაეგადადებით ეპყრობოდა ამ მთხოვარს, კა-
ცი ვერ იტყვის რა ერთგულებითაც ის უვლიდა,
ღამეს უთევდა და ავადმყოფს ხშირად გვერდს უც-
ვლიდა, რომ არ შეწუხებულიყო ერთ გვერდზედ
წოლით. ბეჯითად ასმევდა წამალს, ძვლების გასა-
თბობად მოხუცი ხშირად გამოჰყვანდა მზეზედ.

— ვინ არის ეგ მოხუცი მთხოვარი, რომ სა-
ხლში შემომაყვაინე? შენი ნათესავი ხომ არ არი,
იქნება მამაც იყოს?

— არა, ბატონო!

— ან დავალებული იქნები, გინდა სიკეთე
გადუხადო.

— სულაც არა, ბატონო!

— მაშ ვინ უნდა იყოს, უცხოს ხომ არ უგ-
დებ აგრე ყურსა?

— არა, ბატონო, უცხო კი არ არის. ეგ ჩე-
მი დაუძინებელი მტერი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ღარიბთ-მოწყალე ცხენი.



ერთმე ღვთისნიერი მებატონე თურმე ისე არ გამოვიდოდა შინიდამ, რომ ყველა საწყლებისთვის მალვით თუ ცხადათ არ აღმოეჩინა მოწყალება, ავადმყოფებს ხომ თავისი ხელით უვლიდა. ერთხელ ისე უქეიფოდ შეიქნა, რომ შინიდამ გარეთ ვერ გამოვიდოდა; თუმცა აუცილებლად უნდა მისულიყო ერთ სახლობაში; სადაც უეჭველად კიდეც ელოდნენ.

ამის გულისთვის მოიხმო ერთი სანდო მეზობელი, შესვა თავის ცხენზედ, რომლითაც ჩვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებრივად დადიოდა და თავის მაგივრად გაგზავნა ავადმყოფთან.

ძარგა ხანს ელოდა ეს ჩვენი მებატონე მეზობლის დაბრუნებას, თითქმის მოთმინებიდამ გამოვიდა. დაბრუნების უმალ გულმოსულმა მეზობელმა შესძახა:

— შე დალოცვილო, შენი ცხენით რომ მგზავნიდი, შენი ქისაც უნდა გაგეტანებინა დ!

— მაგას რას ამბობ! ჰკითხა გაოცებით მებატონემ.

— როგორ თუ რას ვამბობ! ბზაში ვინც ლარიბი დამიხვდებოდა და ხელს გამომიშვერდა მოწყალებისთვის, თქვენი ცხენი მაშინვე, უეჭველია ჩვეულებისამებრ, შეჩერდებოდა და სანამ მთხოვარს არ მივცემდი რასმე შეუძლებელი იყო იმისი ადგილიდამ დაძვრა. სანამ ჯიბეში წვრილი ფული მქონდა, კიდევ არაფერი, რაკი გამომელია, შენი მტერი იყოს, რაც მე მდგომარეობაში ჩავარდი. მთხოვრებს ტყუილად ხელში მუჭას ვუდებდი, რომ ამით ცხენი ადგილიდამ დაძრულიყო.

ამის პასუხად მებატონემ გულიანად გადიკისკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სულელი პეტრე.

ბეტია პეტრე ფეხ-მოუცველელად სოფელში სცხოვრებდა, მართალია ორიოდე ახლო-მახლო სოფელი ჰქონდა ნახული, მაგრამ შორ-მანძილზედ კი არ სად არ წასულიყო. ერთხელ აცნობეს რომ უშვილო ძმა მოჰკვდომოდა ქალაქში და სარჩო ბლომად დარჩენოდა. ქალაქს უნდა გამგზავრებულიყო იმის მისაღებად.

პეტრემ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, დააველო ხელი თავის კომბალს და დილა ადრიანად გაუდგა გზას. მიდის და მიდის ჩვენი ტეტია ქალაქისკენ, ვნახოთ უეცრად გზაზედ აკი დიდი მდინარე არ დახვდა; უნდა გასულიყო ამ წყალში, რადგან ქალაქს წამსველელი კაცი ვერ ასცდებოდა ამ მდინარეს.

თავის სიცოცხლეში პეტრე ამოდენა წყლის მნახველი არ იყო, ხევი კი ენახა ნიაღვრისაგან ადიდებული და ისევ მალე ჩამომჯდარი. რა დაინახა დიდი და ღრმა მდინარე წამოიძახა: „ოჰ! ღმერთო, დიდება შენს განგებას! ბაგონილა რამოდენა წყალია! ბინ იცის აქაურებს როგორ უხარიანთ. ჩვენში სულ უწყლობას უჩივიან. ამიტომაც ამობენ, რომ ავდარი ყველგან ერთსა და იმავე დროს არ არი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო. აბა, ქვეყნის ნახვა კაცს ბევრ რასმე ასწავლის! მეტი რა გზაა, უნდა მოვიცადო, სანამ წყალი მოიკლებს.

მენავემ, რომ დაინახა კაცი წყლის პირას, ჰკითხა:

— თუ გინდა გალმა გასვლა, ნავში ჩაჯექიო.

— არა, მამავ და თვალო, მე არც აგრე მეჩქარება, რომ ნავით გადავიდე, რა მეშურება, მოვიცდი.

— რა მენაღვლება, რამდენიც გნებავდეს იცადე, უთხრა გაჯავრებით მენავემ-

ამ დროს მენავეს სხვა მუშტარი გამოუჩნდა და ის გაიყვანა. ტეტია პეტრე დამშვიდებით მიუჯდა წყლის ნაპირას, ნავით გამსვლელთ გამბედაობა უკვირდა დ მოთმინებით ელოდა წყლის მოკლებას, რომ თავის ფეხით გაეტოპა.

დაღამებამდის ელოდებოდა პეტრე და წყალი კი ისევ იმ მდგომარეობაში იყო. დაღონებულმა გასწია შინისაკენ იმის იმედით, რომ მეორე დღეს მშრალი დახვდებოდა. მეორე დღეს რომ მივიდა — მდინარე ისევ ისე თავისებურად მიდუდუნებდა. პეტრე მაინც იმედს არ ჰკარგავდა და სამი დღის შემდეგ კვალად მიადგა წყალს—მდინარეს არც ეხლა მოეკლო რა.

— უეჭველია, აქ რაღაცა ჯადო-ქარიურევია და ბედი არ მიშვებს. იმ სარჩოს მიღება საკეთილო არ იქნება ჩემთვის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაჯავრებულმა პეტრემ გამოსწია შინისკენ და ის სარჩო დაუთმო თავის ბიძაშვილს, რომელიც ანაზდეულად ქალაქს წავიდა კიდეც; ყოველი სარჩო ჩაიბარა და გამდიდრებული დაბრუნდა. პეტრე კი ისევ ისე ღარიბად დარჩა და მხოლოდ მეტი სახელიც შეიძინა; ამის შემდეგ ყველა სულელ პეტრეს ეძახდა

9. სხვის ძრახვა ადვილი ყოფილა!

ელიას და კატას შეხვდათ ერთად მგზავრობა და გასართობად ჩამოაგდეს ზოგიერთ უსამართლობაზედ ლაპარაკი.

—სიმართლეს რა შეედრება! დაიწყო მელიამ,— ეგ გვაყენებს ნამდვილ ცხოვრების გზაზედ და გვიჩვენებს ჩვენს ურიგო საქციელს.

— რა კარგია ვისაც გული ჩვილი აქვს, უპასუხა სასოებით კატამ და ერთი მძიმედ ამოიოხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ერთბაშათ ჩვენმა მგზავრებმა დაინახეს, რომ ტყიდამ გამოვარდა მგელი და ეცა ერთ უმანკო კრავს. საცოდავი ცდილობდა როგორმე დასხლტოდა კლანჭებიდამ და თან ელაქუცუნებოდა, თითქოს თავს აბრალებდა.

—როგორ თუ შეგიბრალო! უთხრა მგელმა,— არა, მე მშიერი ვარ და შენ კაი სამხარი იქმნები.

— ეგ საძაგელი! დაიყვირა გაბრაზებულმა კატამ, ხორცით რომ არ გამოძღეს, განა ბალახი ბლომად არ არის!...

— სწორედ მტარვალია! დაუმატა მელიამ,— უმანკო სისხლს რადა ღვრის როდესაც მუხას ტოტები ემტვრევა მწიფე რკოსაგან. სხვა რომ არა იყოს რა ჩვენთვისაც სასირცხვილოა!

ამ ლაპარაკით ჩვენი ძმობილებიც მიუახლოვდნენ ერთს წისქვილს, საცა ქათმები ნაგავს ქექდნენ.

დაინახა თუ არა მელიამ ქათმები იმ წამსვე ძრახვა დაავიწყდა, აღარაფერს დასდია, მივარდა მოზდილ ვარიას, კატამაც მარდად ჩაბოჭა თაგუნა, რომელიც სოროდამ ამოსულიყო მზეზედ საცუცუნებლად.

აქვე წისქვილის კედლის კუთხეში ობობა იჯდა თავის აბლაბუდაში. დაინახა თუ არა ეს ამბავი აღშფოთდა და გამწარებულმა წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ წარმოიდგენია, განა ამათთანა ბოროტი სული იქნება ქვეყანაზედ?

მაგრამ ჯერ ეს სიტყვები გათავებული არ ჰქონდა, როდესაც დაინახა რომ ერთი ცქრიალა ბუზი გაბმულიყო ამის აბლაბუდაში და მაშინვე თოფის ტყვიასავით ეცა იმას.

F125/2

10. დაუდევარი ამხანაგი.

FS 2095

ბიტებს ცუდი წელიწადი დაუდგათ, გვალვა იყო, მცენარეულობა დახმა და ჩიტებიც შიმშილით შეცოტავდნენ.

— ჩემო ძმობილო, გაფრინდი, მიიხედ-მოიხედე, იქნება საზრდო რამე იშოვო, უთხრა ერთმა მისუსტებულმა ჩიტმა თავის ამხანაგს,—თორემ შიმშილით სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომძვრება. თითონ მე წავიდოდი, მაგრამ ჯანი არ მოდგევს, თუ იშოვო რამე მალე მომიტანე, მეტი გაძლება არ შემიძლიან, შიმშილით ვკვდები.

ამხანაგიც დაჰპირდა მალე დაბრუნებას და გაფრინდა. აკი მართლა ამის ბედზედ ეს არ მიაწყდა თვალ-შესულ ალუბალს.

— მხლა კი აღარა უჭირს რა ჩემ ამხანაგს, სიკვდილს გადურჩა! სთქვა ჩიტმა.

მივარდა ალუბალს, გემო გაიღო, ნახა რომ შვენიერი იყო და კარგა მიაძღა. ამასობაში გავიდა ერთი საათი, მზე კიდეც მიწურულიყო, მოაგროვა ორიოდ მარცვალი და ის იყო უნდა დაბრუნებულიყო თავის ამხანაგთან.

— არა, ცოტას დავიცდი, დავიღალე, სთქვა თავის თავად ჩიტმა, — ერთი ორიოდ მარცვალს კიდევ შევჭამ.

და ამის მთქმელი ხან ერთ ტოტზედ შეფრინდა, ხან მეორეზედ, მარჯვნით და მარცხნით კენკას მოჰყვა იქამდის, სანამ ღამემაც უსწრო და კიდეც ჩაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათენდა თუ არა გულშემატკივარი ჩიტი საჩქაროდ წავიდა თავის ძმობილთან. მაგრამ დახეთ უბედურებას! ამხანაგი შიმშილით კიდეც მომკვდარიყო.

11. შავი მამალი.

ერთს სოფელში დიდი ქურდობა გაჩნდა: ხან ძროხა იკარგებოდა, ხან ხბო და ხან ლორი. სოფლის მოხელეები დაღონდნენ, ეჭვიც მიიტანეს ერთზედ, მაგრამ ხელ—მოსაჭიდი ვერ უპოვეს რა. ერთხელ ამ გვარ ქურდობის დროს სოფელში შეესწრო ძალიან გამჭრიახი და მოხერხებული დედაკაცი სახელად ელისაბედი; მძახლიანთსა მოსულიყო რთველში და რაკი შეიტყო, რომ ბურვაკის მომპარავი ვერ ეპოვათ სოფლის ერთ მოხელეს უთხრა: „შენ შეაგროე ხალხი, მე ერთი ისეთი უცხო ქვეყნის შავი მამალი მყავს, რომ ქურდს მაშინვე გამოაჩენს.“ მოხელემ სოფლელები მალე შეჰყარა, ელისაბედმა კალათით მამალი დასდგა და ყველას უთხრა: მიდით ახლო და მამალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მაგრად გადუსვითო, როგორც-კი ქურდის ხელი დაეკარება, მამალი ყივილს მოჰყვება. ყველანი თითო თითოთ მიდიოდნენ მამალთან, ხელს წაუსვამდენ, მაგრამ მამალი კი ხმას არ იღებდა, ასე რომ თვით ქურდიც გადურჩა, მამალს კრინტიც არ დაუძრაეს. ელისაბედმა გაოცებით სთქვა:

— ზანა ჩემ მამალს დაეიწყებია ქურდების გამოჩენა! ეს შეუძლებელია, აბა, მაშ ყვ'ლამ ხელის გული მიჩვენოს, ნიშანს დასდებდა რასმე.

მართლა ყველამ გადუშალა გამურული ხელის გული. მხოლოდ იმას, რომელსაც ქურდობა ბრალდებოდა არა ჰქონდა ხელის გული გამურული. ელისაბედი თვალებში ჩააცქერდა და პირს შესდო ქურდობა:—აი, ეგ არის ნიშანი, რომ შენა ხარ ქურდიო.

ქურდი მართლა გამოტყდა.

მოხერხებულ დედაკაცს თურმე მამლისთვის მური წაესვა, ქურდს შეშინებოდა მამალმა არ დაიყვიროსო და არ დაეკარებინა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ბ ა ბ ა.

ერთი ოთხმოცის წლის მებატონე იდგა სოფელში და თავის ვენახში მოუცილებლად მუშაობდა: რგავდა ხეხილსა, ამყნობდა, ფურჩენიდა და სარებს უდგავდა ვაზებს. ხშირად ქალაქიდამ სასწავლებელში მყოფნი შვილი-შვილები ეწვევოდნენ და მაშინ მოხუცის სიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა.

შემოდგომის ერთ დილას მებატონე დიდ ფაცა-ფუცში იყო თავის ვენახში, ამზადებდა მიწას, უნდა სხვა და სხვა ხეხილი ჩაეყარა, ღობეც უნდა გაეწია, რადგან აპირებდა ვენახის შემატებას. ამ დროს კიჟინით, უეცრად, ყელზედ ჩაეკიდა მოხუცს თავისი შვილი-შვილი ალექსი და დილა მშვიდობისა უთხრა:

„აი ყოჩაღ, რა ადრე წამომდგარხარ, შენ კაი ყურძნის მტევანი გერგება.

მადლობის მთქმელმა ალექსიმ სიხარბით გამოგლიჯა ხელიდამ დაბრაწული მტევანი და ჭამით შესცქეროდა თავის პაპის მუშაობას.

ამ დროს უცებ წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპაჯან, რად გინდა რომ კიდევა რგავ და უმატებ ხეებსაო?

„მაშ, შვილო, ზოგმა უნდა ხილი მოგვცეს. ზოგმა ბაღი დაამშვენოს და იმის ჩრდილ ქვეშ შევექცეთ...

— მე მგონია ტყუილი ჯაფის გაწევაა შენთვის!

„რათაო?

— მათაო რომ... ვინ იცის როდის გაიზდება ეს ხეხილი, ან როდის მოისხამს ხილსა...

— მე კი ისეთი ბებერი ვარ, განა, რომ ხილის გემოს ველარ მოვესწრებიო! საჩქაროდ დაუმატა მოხუცმა.

ალექსიმ თავი დაუქნია...

ამ დროს ალექსის უმცროსმა დამ მაროომ მოირბინა, გადაჰკოცნა პაპა და ისეთი ტუჩების ცმაცუნით გადახედა ძმას, რომ ალექსიმ მაშინვე უთავაზა თავის მტევანი.

„აბა, მამა ჩემს რომ არ გაეშენებინა ეს ვენახი, განაგრძო მოხუცმა,—მე ხომ ამდენს არ ვისიამოვნებდი და არც ამდენი შემოსავალი მექნებოდაო.“

— თქვენ სხვისთვის, პაპავ, რად უნდა სწუხდებოდეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ რად მიეცი მაშ ყურძნის მტევანი შენ უმცროს დას?“

— შევატყე ძალიან უნდოდა და მიხარიან რომ ვასიამოვნე.

„აი, ჩემო პაწიავ, მეც ის მახარებს და მასიამოვნებს, როდესაც წარმოვიდგენ რომ ერთხელ თქვენ და თქვენი შვილები დასხდებით ჩემი ხელით ჩარგულ ხეების ჩრდილ ქვეშ, მოჭკრებთ ჩემგან ნამყენს ხეხილს და ცხონებას შემომითვლით.“

— ეხლა კი მესმის ყველაფერი... სთქვა ალექსიმ და ალერსით გადაეხვია თავის პაპას.

13. თილისმის ყუთი.



ერთევანი ვერაფერი მეოჯახე ქალი იყო, დაუდე
რობით ყოველ დღე სხვა და სხვა რამეებს ჰკარგავდა ისე, რომ ოჯახი თან და თან მიწასთან სწორდებოდა. საშველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ღონის-ძიება რამ ეპოვნა. Iფიქრა, იფიქრა და ბოლოს უთხრა თავის თავს:

— Oუ მიშველის რასმე, უნდა მიშველოს იმ განთქმულმა განდეგილმა, რომელიც ტყეში განმარტოებით სცხოვრებს; ამბობენ დიდი ჭკუის პატრონია, და გასწია იმასთან.

Gანდეგილმა ჯერ ძალიან გაიკვირვა, მე რა მკითხავი მნახესო, ბოლოს ჩაფიქრდა და სთქვა: „პატარა ხანს მომიცადეთო.“

Gემდეგ გამოიტანა პატარა დაკეტილი ყუთი და მხიარულად უთხრა ქეთევანს: „ეს ყუთი წლის განმავლობაში იქონიეთ ასე დაკეტილი და დილასა და საღამოს ჩუმ-ჩუმად მოატარეთ ყოველი თქვენი სახლის კუნჭული—სამზარეულო, სარდაფი, თუ საკუჭნაო და თუ მართლა ბეჯითად აასრულებთ ჩემგან დარიგებას, უთუოდ დიდი მადლობელი დამრჩებით, როდესაც წლის თავზედ ამ ყუთს დამიბრუნებთ.

ქეთევანმა თუმცა იუცხოვა ეს საშუალება, მაინც დარიგება ყურს არ აიცდინა და ბეჯითად დაჰქონდა სახლის ყოველ კუთხეში თავის სასწაულიანი ყუთი. პირველადვე ფეხი ჩასდგა თუ არა სარდაფში, წააწყდა მსახურს, რომელიც არ ელოდებოდა ქალბატონს და ღვინოს იპარავდა. ბოსელში ძროხები მოუველელი დაუხვდა, თურმე ცხენებს თივას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭმევდნენ და ამას კი ქერის ფულს უანგარიშებ-
დნენ ხოლმე, უდროვოდ შევიდა სამზარეულოში
და ნახა, რომ მოახლეებს ამის ხარჯით წვეულება
გაემართათ.

— საკვირველია, რატომ აქამდის არას ეხედა-
ვდი, ეუბნებოდა თავის თავს ქეთევანი,—რას მო-
ვიფიქრებდი, თუ ქვეყანაზედ ამისთანა ძვირფასი
თილისმა იქნებოდა.

როდესაც წელიწადმა გაიარა ქეთევანმა მიუ-
ტანა განდეგილს ყუთი და სთხოვა: „ერთი წელი-
წადი კიდევ დამითმე, ძალიან გასაოცარი ყუთი
ყოფილაო“

ბანდეგილმა გაიცინა და უთხრა:

— „მაგაში ხომ თვალთმაქცობა რამე არა
გონიარა, გიჩვენოთ რა საქმეა?

და ქეთევანის თვალ წინ გააღო ყუთი. შიგ
ქაღალდის ნაჭერი იდო და ზედ შემდეგი სიტყვები
ეწერა: „თუ გინდა რომ ოჯახი ჰყვაოდეს-უნდა
შენ თითონ ყველაფერს თვალი ადევნოო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ფულის ქისა.

ემოდგომის შვენიერი დღე იდგა. პატარა პავლე იჯდა ხის ძირას ტყეში და მწარედ სტიროდა. მონადირეებმა გაუარეს წინ და ერთმა იმათგანმა ჰკითხა:

— რა გატირებს, ყმაწვილო?

— როგორ თუ რა მატირებს, თქვენ რა იცით ჩემი უბედურება! ქალაქს გამგზავნა მამა ჩემმა ხორაგის საყიდლად და მე ქისა ფულებიანი დამეკარგა. წარმოიდგინეთ ეხლა, მთელი ჩვენი სახლობა— დედ-მამა, დები და ძმები ერთი კვირის განმავლობაში მშივრები უნდა ვიყოთ.

ერთმა მონადირემ მიაწოდა თავისი ქისა ყმაწვილს და უთხრა:

— დაიჭი, ჩემო კარგო, გასინჯე, იქნება შენი ქისაა!

— არა, ბატონო, ჩემი ეგრე კარგი არ ყოფილა და არც მაგდენი ფული იყო შიგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Იქნება ეს იყოს შენიო, დაუმატა მეორე მონადირემ და უჩვენა თავისი ქისა, რომელიც თუმცა მეგობრის ქისასავით შვენიერი არ იყო, მაგრამ ფული კი შიგ ბლომად ეწყო.

— Არც ეგ არის! ჩემი ქისა ძალიან ძველი იყო და შიგაც მხოლოდ წვრილი თეთრი ფული იდო,

— Აჰა, შვილო, შენი ქისა, ნუ სტირი, მე ვიპოვე. და ეს ჩემი ქისაც შენთვის მიჩუქებია, რადგან ტყუილი არა გცოდნია.

პაველ გახარებული დაბრუნდა შინ და ყველას უამბო.

Ერთმა ცრუ და ზარმაცმა ბავშმა ყური მოჰკრა ამ ამბავს, მეორე დღესვე წავიდა ტყეში და დიდხანს ელოდებოდა მონადირეებს; ფეხის ხმა რომ გაიგო მაშინვე დაიწყო ბღავილი და თავშიცემა:

— რაღა მეშველება, ფულიანი ქისა დავკარგეო.

მონადირეებმა რომ გაიგონეს, მაშინვე მიხვდნენ იმის ეშმაკობას.

— „Აბა, ეს ხომ არ არი, უთხრა ერთმა მათგანმა.

— Არა, ბატონო, ის ეგრე შვენიერი არ ყოფილა, სთქვა ყმაწვილმა, რომ რა არი უფრო მოეტყუებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ან იქნება ეს იყოს? უთხრა მეორემ.

— დიახ, დიახ სწორედ ეგ არის.

— „მგ გარდამეტია! სთქვა ქისის პატრონმა და მიუბრუნდა ყმაწვილს ამის თქმით:—მაშ შენ საკადრისს მიიღებ! მოიქნია წკეპლა და ურცხვ ბავშს ორიოდე მიარტყა.

შერცხვენილი ბავში დაბრუნდა შინ, ვერავისთან ვერ გაამხილა თავის ამბავი და ამ შემთხვევით დაიშალა იმან სიცრუე.

---

15. ᲥᲘᲠᲘ.

ᲙᲐᲢᲝ დიდი ცელქი და დაუდგრომელი ბავში იყო. ᲓᲔᲓᲐ გვერდიდამ არ იშორებდა, მეტადრე როდესაც ეზოში ჩავიდოდა, რადგან შენობის გამო იქაურობა მუშებით და კალატოზებით სავსე იყო. ᲥᲐᲢᲝᲡ კი ძალიან მოსწონდა თავისუფლად ეზოში სირბილი და ერთხელ ჰკითხა დედას:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დედილო, რატომ არ მიშვებთ ქვემოთ, მუშაობას ვუყურო.

— „ხომ ხედავ, შვილო, კალატოზებით და მუშებით იქაურობა სავსეა. ძვებს და აგურებს ისვრიან, რომ მოგხვდეს, მერე რა ვუყო.

— დედილო. ფრთხილად ვიქნები, არა მიშავს რა!

— „მაი თუ კირთან მიხვიდე ახლო, მერე კირი ხომ დაგწვამს?

ქატომ ჩაცინა, ეგონა რომ დედა ეხუმრებოდა, როგორც კი დრო ჩაიგდო, გაიპარა და ეზოში ბღლაძანი გაადინა. მუშებს ღიღინი გაჰქონდათ, ყველა გაცხარებული ადგა თავის საქმეს, ქატოს ზედაც არავინ შეხედა, ისიც თავისუფლად შინჯავდა ყველაფერს. აქვე ამის ახლო არეულ კირს ბამბის ქულასავით წაყრილი ჰქონდა მშრალი კირი.

„რა კარგი იქნება ამაზედ სიარული, გაიფიქრა პაწია ცელქმა—აბა ერთი ვცადო.'"

ქატომ ჯერ ერთი ფეხი ჩაჰყო კირში, ფეხი მთლად შიგ ჩაეფლა, რომ არ წაქცეულიყო მეორეც მიატანა, ასე რომ მუხლებამდის ჩაიფლა. ბავშმა ასტეხა საშინელი ყვირილი, მუშამ საჩქაროდ ამოიყვანა კირიდამ და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფეხთსაცმელი გაიხადეთ, ყმაწვილო, ფეხურეთ როგორ დიმწვარა, ჩქარა, თორემ ფეხებიც დაგეწვით.

ქატომ დაიხედა გარუჯულ ფეხებზედ, თითქოს ცეცხლიდამ ჰქონებოდეს ამოღებული და მოართო ტირილი. როდესაც ტანში ჟრიალი დააწყებინა კირის სიცხარის გამო, მაშინ ხომ საშინლად ღრიალიც დაიწყო.

ბედზედ გამდელი შეესწრო, საჩქაროდ ფეხთსაცმელი გახადა, თავიდამ მოიხსნა თავ-შალი გაუწმინდა იმითი ფეხები და აყვანილი შეიყვანა ოთახში. დედას შვილისათვის ხმა არ გაუცია, მხოლოდ ამოფლეთილი თავ-შალი გადაშალ-გადმოშალა. ქატოს შერცხვა, ამოიღო მაშინვე თავის შენახული ხილის ფული და მისცა გამდელს ახალი თავ-შლის სასყიდლათ.

16. ყალფახები. *)

ერთს მეწკრილმანეს მოჰქონდა ქალაქიდამ სოფელში ყალფახები გასასყიდათ და იმ ტყეში მოუხდა გავლა, სადაც ბევრი მაიმუნები ბი-

*) ყალფახი მოქსოვილი საღამური ქუდი არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადროებდნენ. შუა დღე იყო. დილიდამ მოყოლებული პაპანება მზეში მოდიოდა საბრალო მეწვრილმანე და ძალიან დაღალული მიჯდა წაბლის ხის ქვეშ დასასვენებლად. ხის ხშირი ტოტების ჩრდილმა და ხავერდივით მწვანე ბალახმა ამ კაცს ძილიც მოჰგვარა. უფრო მოსვენებით რომ დაეძინა ამოიღო საწვრილმანოდამ თავისი ყალფახი, ჩვეულებისამებრ დაიხურა, მიწვა და ტკბილად ჩაეძინა.

თურმე ნუ იტყვით, აქეთ-იქით მიმალულნი მაიმუნები შესცქეროდნენ მეწვრილმანეს და რაკი ნახეს რომ ყალფახების პატრონს მისძინებოდა, გამოებრძანდნენ ერთიანად ეს ბატონები თავიანთ საფარიდამ და როგორც ყველაფერში ადამიანის მიმბაძავნი ერთ წამს საწვრილმანოდამ ამოალაგეს ყალფახები და ყველამ სათითაოდ დაიხურა.

მეწვრილმანემ მალე გამოიღვიძა, მაგრამ დახე უბედურებას! საწვრილმანო ვიღასაც აერია, დაეცარიელებინა, ერთი ყალფახიც აღარ იყო შიგ.

„გამქურდეს, გამქურდეს, შეჰყვირა მეწვრილმანემ და ფეხზედ წამოხტა.

ამ დროს ხეებიდამ რაღაც ხმაურობა მოესმა, შეიხედა საბრალო მეწვრილმანემ მაღლა და დაინახა რომ მაიმუნების ჯარი დახტოდა ხეებზედ, ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალფახები თავზედ ეხურათ. რა ჰქნას, როგორ გამოართვას! ესენი მთელ ტყეს მოედებიან, ხომ ვერ გამოუდგება. დაუწყო მაიმუნებს ქვების სროლა, იმათაც მაშინვე წაბლი სეტყვასავით თავზედ დააყარეს; დაუწყო ქურდებს ჯავრობა და ლანძღვა, იმათაც პასუხად ასტეხეს რალაც ჭყვიტინი. მეწვრილმანეს დიდი ზარალი მოელოდა, რალა ყალფახებს გაჰყიდდა. მოთმინებიდამ გამოსულმა ფეხები დაუტყაპუნა, თავიდამ ყალფახი მოიგლიჯა და მიწაზედ დაახეთქა.

მაიმუნებმაც მიჰბაძეს, კბილები დააკრაჭუნეს და ყალფახები ყველამ ერთბაშად თავში ახეთქეს მეწვრილმანეს.

17. მეფის ამორჩევა პირუტყვებში.

ოკვდა პირუტყვთა ბატონი. მთაში ასტყდა ძუ ლომის ღმუილი. მაშინვე თავი მოიყარეს ლომის ბინაზედ ყოველ გვარმა პირუტყვმა მეფის ასარჩევად. შუაში დასდვეს გვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგვინი და მოჰყვნენ სჯას, თუ ვინ დავაგვირგვინოთო. ლომის შვილი ჯერ პატარა ლეკვი იყო და ის ძალა არა ჰქონდა, რომ ამოდენა პირუტყვს გასძლოლოდა.

—„დამაცადეთ გავიზარდო, ამობდა მომავალი ბატონი,—მაშინ ვიმეფებ კიდეც და ყველას შიშის ზარსაც დავსცემ. უნდა შევისწავლო მეფური ქცევა, რომ მივბაძო მამა ჩემს ბატონობაში.“

— არა, მე უნდა დამაგვირგვინოთ, სთქვა ვეფხვმა,—რადგან ლომს სხვებზედ მე უფრო მიევმგვანები.

—„ბანა მე სადღა ვარ, დაიძახა დათვმა.—მაშინაც უსამართლოდ მომექეცით, რომ ლომს ჩემზედ უპირატესობა მიეცით; მე ლონიერი ვარ, გამბედავი და იმითიც ვჯობივარ, რომ ხეებზედ მარჯვე ასვლა ვიცი.“

— ბატონებო, მეც დამიგდეთ ყური, სთქვა სპილომ,—განა ვინმე გაბედავს და იტყვის, რომ ჩემზედ დიდი, ლონიერი და გულოვანია?

— მერე ჩემისთანა პატიოსანი და ლაზათიანი ვინ იქნება, დაიძახა ცხენმა.

— მე ხერხში და ჭკუაში ვინ შემედრება, მიუგო მელიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სირბილში ვინ გამასწრებს, წამოიძახა ირემმა.

— ჩემისთანა შემაქცეველს და მიმხვედრს მეფეს სად იშოვით, სთქვა მაიმუნმა,—ჩემ ქვეშერდომებს ყოველ დღე გავართობ; მე ხომ ადამიანს ძალიან მივემგვანები, ადამიანი კი მეფეთ—მეფეა ქვეყნისა.

ამ სიტყვებს თუთიყუშმა ხიდამ ყური მოჰკრა, ველარ მოითმინა და შესძახა:

— თუ შენ თავი მოგაქვს იმითი, რომ ადამიანს მიემგვანები, მაშ მეც ხომ ვგავარ ადამიანს. შენ ადამიანების მახინჯი ხარ და ბაძვით თუ მიემგვანები იმათ. მე კი ვლაპარაკობ იმათებურად და აბა დამისახელე ერთი ვინმე პირუტყვი, რომელსაც შეეძლოს ჩემსავით ადამიანურად ლაპარაკი.

— დაჩუმდი შე უბედურო, უთხრა მაიმუნმა, მართალია იმეორებ ადამიანის სიტყვებს, მაგრამ კი არა გაგეგება რა.

ურილობამ ორივე ჩააჩუმა და ერთ ხმად ამოარჩია მეფედ სპილო, რომელიც ღონით და ჭკუით ყველას სჯობდა, სხვებივით შეუბრალებელი არ იყო და არც თავის გამოდება უყვარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ბადია — ძაღლი.

ერთს ჯარის კაცს ტარუაშვილს დიდი, კაი ჯიშისა და კაი დაგეშილი ძაღლი ჰყავდა. მთელი ჯარის ხალხი იმას შენატროდა, თითქმის მსახურის მაგივრობას უწევდა; კიდეც ამ ძაღლის იმედით იდგა ტარუაშვილი ცოლით და ძუძუ-მწოვარა ბავშით ყველაზედ განშორებული ტყის პირას. სამსახურში რომ მიდიოდა, ხშირად მიჰყვანდა ეს ძაღლი, და მთელი ჯარი გაოცებული იყო იმის გონიერებით და ერთგულობით, პატრონის სიტყვას მაშინვე მიუხვდებოდა და დაუყოვნებლივ ასრულებდა ყველაფერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ტარუაშვილი შინ დაბრუნების დროს, ტყე-ტყე რომ მოდიოდა, შეამჩნია რომ ძაღლი წამ და უწამ გზას გადადიოდა, თითქოს რაღასაც ეძებდა ბუჩქნარებში, ხან ნაპოვნ ლეშს გამოათრევდა და ხან რასა და რასა; პატრონის ძახილს არ ემორჩილებოდა. ბოლოს ტარუაშვილმა როგორც იყო ჯოხით გაიგდო წინ. შინ მივიდნენ თუ არა, ძაღლი კუთხეში მიიმალა.

სახლში იმას ცოლი ელოდებოდა, რომ ყმაწვილი ჩაებარებინა და თითონ წასულიყო რაღაც საჭირო საქმისთვის.

ნახევარ საათს არ გაევლო, რაც ცოლი წასულიყო, რომ ტარუაშვილს მიეღო ბრძანება პოლკოვნიკისაგან, რომელიც საჩქაროდ იბარებდა ამას. ერთს წამს შეფიქრდა, ბავში მარტო როგორ დაეტოვებინა, მარამ მაშინვე მოიგონა თავისი ერთგული ძაღლი და ანიშნა, შენთვის ჩამიბარებია ეს ბავშიო. ძაღლი მაშინვე მიუჯდა აკვანს და კაცები წავიდნენ. ბავიდა კარგა ხანი, ბავშს ისევ ისე ეძინა. ძაღლმა გარს შემოუარა აკვანს, ყველაფერი დაათვალიერა და ისევ გაწვა აკვანთან, ფეხებზედ დაიბჯინა დინგი და გაყუჩებული თავისთვის იწვა, ის იყო უნდა ამასაც ჩაეძინა, მაგრამ ამ დროს რაღაც ჭრუანტელმა გაურბინა ძაღლს ტანში, თვალები მოუსვენრად გააფაციცა, კუდი აიბზიკა, ყურები ცქვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა; თითქოს რაღაც უბედურებას მოელოდა, აი ან ეხლა რამე გამოტყვრება და აი ან ეხლაო, იატაკზედ გაიჭიმა, თავი გვერდზედ გადიგდო და ხმა დაბლა დაიწყო ღრინვა. პატარა ხანს უკან წამოხტა, მერე ისევ შედგა. საზარელი გველის თავი გამოჩნდა ღია სარკმელში (ფანჯარაში), იქვე ქოთნით რძე იდგა და იმის სუნს მიეზიდნა გველი. ამათ ერთმანერთს მტრულად გარდახედეს. ძაღლს ბალანი აუდგა, ქვემძროომის თავი მოცოცავს ნელა-ნელა. აი კიდეც ჩამოვიდა ოთახში.

საშინელი ბრძოლა იწყებოდა. ძაღლს არა თუ ყმაწვილი უნდა გადაერჩინა, თავის თავის შველაც ეჭირებოდა. შიგ კისერში უნდა ჩაეღლო პირი გველისთვის, რომ იმას დაშხამა ალარ შესძლებოდა. ძაღლმა დაიწყო ხმა მაღლა ყეფა, რომ ყეფაზედ მიშველებოდა ვინმე, მაგრამ ჭაჭანება არსად იყო. როდესაც იმედი გადუწყდა, რომ ამითაც ვერას გახდა, მაშინ ერთი დაიღმუილა და უეცრად მივარდა გველს სწო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედ იმ დროს, როდესაც ის ბავშისკენ მისცურავდა, სწრაფლად ჩაავლო პირი კისერში, დაახრჩო და გამ-მაგებულმა ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ამ ბრძოლაში აკვანიც წაქცევოდა, მერე გამარჯვებული მოუ-ბრუნდა ცხარედ მტირალ ბავშს და დასამშვიდებ-ლად ლაქუცობა დაუწყო, თითქოს გამოღვიძების-თვის ბოდიშს სთხოვდა, და სიხლიანი დინგით სულ მოუსვარა ყმაწვილს არტახები.

ამ დროს დაბრუნდა ტარუაშვილი. ზასისხლი-ანებული ძაღლი ქაქანით, ენა გამოგდებული და პირ-ქაფიანი სწრაფლად მიეგება თავის პატრონს და სულ კისერზედ ახტებოდა. ტარუაშვილი საშინლად გადაფითრდა, უკან დაიწია, მოაგონდა ძაღლის დი-ლანდელი უჩვეულო ქცევა და გუნებაში გაიტარა უთუოდ გაცოფდაო. საჩქაროდ შევიდა ყმაწვილ-თან და რა ნახა იქაურობა სისხლში მოსერილი, აკვანი გადაბრუნებული, ბავში ხმა ამოუღებელი, მაშინ სწორედ დაიჯერა ძაღლის გაცოფიანება. ერ-თი კი წაიშინა თავში „ბავში მომიკლაო!“ სწრაფ-ლად იძრო დამბაჩა და დაახალა ძაღლს.

საბრალო ძაღლმა მწუხარებით გადახედა პა-ტრონს, გაუღიმა ბავშს და იქვე სული დალია.

დამბაჩის ხმაზედ ბავშმა ტირილი მოჩუთო, მა-მა მივარდა აკვანს ბავშის ამოსაყვანად და გველის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკუწებს წააწყდა, მაშინ კი მიხვდა ყველაფერს და დიდხანს მწუხარებით დაჰყურებდა თავის ერთგულს ძაღლს და გულში ღრმად იბეჭდავდა იმისგან დავალებას.

19. ფერიას გორგალი.

ერთხელ ფერიამ დაანათლა ერთ ბავშს ნატერის გორგალი იმ დარიგებით, რომ როცა ნანატრელი რამე ჰქონდეს, გორგლის წვერს გამოსწიოს.

ბავშმა აიღო თუ არა ხელში გორგალი, მაშინვე ის ინატრა, ნეტავი ეხლა ათი წლისა ვიყო და ამ გამდლებს მოვმარჩინაო და გორგლის წვერი გამოსწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავში ერთს წამს ათი წლისად გადიქცა, მაგრამ ეხლა, გამდლების მაგივრად მასწავლებელნი შემოეხვივნენ. ᲣᲮᲐᲬᲕᲘᲚᲘ ყოველ დღე ცოტ ცოტად სწევდა ძაფს, რა არი გაკვეთილები შემოჰკლებოდა, მასწავლებელნი მაინც გვერდიდამ არ შორდებოდნენ, წამ და უწამ არიგებდნენ და ასწავლიდნენ, ასე რომ ეხლა ისინი თვალში ეკლათ მიაჩნდა. ᲑᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ გადმოახვია გორგლიდამ კიდევ ძაფი და ერთბაშად ჭაბუკი შეიქნა. „ᲐᲑᲐ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ეხლა ვიქნები, ყველასაგან განვთავისუფლდი!“ შეჰყვირა ყმაწვილმა.

ᲔᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ და თავისუფლებაც მალე მოᲑᲔᲖᲠᲓᲐ. ᲔᲮᲚᲐ შენატროდა იმ კაცებს, ვინც სამსახურში იყვნენ, ცოლი ჰყავდათ და გამართული ოჯახი ჰქონდათ; ნელ-ნელა გადმოახვია გორგლიდამ ცოტა ძაფი და აი თვალ საჩენი ადგილიც იშოვა, შვენიერ სახლშიაც სდგას და ლამაზი ცოლ-შვილიც გარს ახვევია. „ᲔᲡ ყველაფერი კარგია, ადგილიც გამოჩენილი მიჭირავს, მაგრამ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲯᲐᲤᲐ უნდა; შვილებიც კარგი მყავს, მაგრამ იმათი ტიტინი ზოგჯერ მღალავს. ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ის დრო როდის დადგება, რომ შვილები დავაბინაო და შეძლებაც იმოდენა მქონდეს, რომ სამსახურს თავი დავანებო.“ ᲐᲛ ფიქრის დროს ხელში გორგალი შეხვდა და თითქოს უნებურად გამოსწია წვერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე სარკეში თვალი მოჰკრა თავის ჭალარა თმას, გარს მოეხვივნენ ერთი ორად გამრავლებულნი შვილები სიძეებით და რძლებით, იმ წამსვე გუნებაში გაიტარა, „რა კარგი იქნება პაპად რომ გავხდე, რა შეედრება იმას, რომ კალთაში მისხდნენ შვილის-შვილები.“ თავი ვერ შეიკავა და ამ სურვილის ასასრულებლადაც გამოსწია კიდევ გორგალსა. მართლა და სწრაფლად იმის ოთახი აივსო შვილი-შვილებით, შეჰქნეს ერთი ჟრიამული და მხიარულობა.

მაგრამ ამ დროს მოხუცებულობის გამო საბრალოს ნიკრისის ქარები გაუჩნდა, დამბლად დაეცა, მოუძლურდა, ქვეშაგებიდამ ველარ დგებოდა, ყოველ მხიარულობას მოაკლდა, სულ იძახოდა: „როდის იქნება, ამ წუთი სოფელს მოვრჩე და მოვისვენოო.“ საკმაო იყო გორგლიდამ ერთი კიდევ ძაფი გამოეწია, რომ მომკვდარიყო, მაგრამ სასიკვდილოთ თავს ვერ იმეტებდა. ერთხელ კი ტკივილებმა ისე შეაწუხა, რომ გაბრაზებულმა ძაფი გამოსწია გორგლიდამ და საუკუნოთ გამოესალმა წუთისოფელს.

მას შემდეგ მხოლოდ ექვსი თვე იყო გასული, რაც ფერიამ ამას ნატვრის გორგალი დაანათლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ბიძიას ნაამბობი.

ვაცი ვერ იტყვის, რა მოშიშარი ვიყავ ახალგაზდობაში! ოსებს რომ ახსენებდნენ, მე ჩემი მემართებოდა; ბავშობიდანვე ჩაგონებული მქონდა იმათი ქურდობა და რომ კაცს სასიკვდილოთ არ დაზოგავდნენ. ერთხელ ამიტყდა ერთი ჩემი მეგობარი, ოსებში მივდივარ და გამომყევიო. მე დიდ უარზედ ვიდექ, მაგრამ ზედ გადამაკვდა, უნდა წამოვყვე, არ იქნებაო. მეტი ლონე არა მქონდა, თუმცა შიშით კი, მარამ მაინც უნდა დავთანხმებოდი. გავუდექით გზას, ჩვენ კაი მატარებელი ცხენები გყვანდა და იმედი გვქონდა, რომ ვახშმობამდის ბინას მივაღწევდით.

დასწყეველოს ღმერთმა, აკი ავდარმა არ მოგვისწრო, აგვიტალახდა, ცხენები დაგვიდგა. მე ძალიან შევწუხდი, სწორედ ორ ცეცლ-შუა ვიყავ: ტყეში გაელისაც მეშინოდა ღამე და თუ დავრჩებოდით ვინ იცის რომელ უცნობ ოსს მივადგებოდით კარს და იმასთან ღამის გატარება არაფრად მეჭაშნიკებოდა. ჩემმა მეგობარმა ბევრი აღარ იფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრა, მხიარული ღიღინით მიაყენა ცხენი ერთ ოს-თან, რომელიც ზედ გზაზედ, ტყის პირას, იდგა და სადაც ყოველთვის თურმე ბევრი გაბ̇ლელ-გამომვლელი ჩამოხტებოდა.

ჯერ სახლს შეეხედე თუ არა, თავს ზარი დამეცა, გარშემო იმის მეტი არავინა არ ბინადრობდა, რომ გავეცარცვეთ და მოვეკალით კიდეც, ვინ იყო პატრონი.

შეეიდა თუ არა ჩემი მეგობარი მოუჯდა შინაურად სახლის პატრონებს, რომელნიც ვახშამზედ ისხდნენ და სიცილით და ხუმრობით დაიწყო იმათთან პურის ჭამა, მე კი ლუკმა ყელზედ მადგებოდა, კრძალვით ვათვალიერებდი ჩვენ მასპინძლებს, იმათ ოთახის მოწყობილობას. მართალია კეთილ შესახედავ ადამიანებს გვანდნენ, მაგრამ ოთახი კი სწორედ თოფხანას მიეგვანებოდა: ქვეყნის ხანჯლები, თოფები, შუბები, დანები, დიდრონი და პატარები სულ კედლებზედ ეკიდა. ზეღარა მეწამებინა რა შიშით. ჩემმა მეგობარმა კი დაუდევნელად ჩამოუთვალა თუ ვინ ვიყავით, საიდამ მოვდიოდით, ან საით მივდიოდით, თითქოს ძალიან საჭირო ყოფილიყოს. ამას კიდევ ვინა ჩივის, ერთი ისეთი ტრაბახობდა თავის სიმდიდრეს და თანაც ხურჯინს უფრთხილდებოდა, არავინ ხელი არ ახლოსო, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხსნასო, უნდა თავს-ქვეშ დავიდოო, გეგონებოდათ თვალ მარგალიტით აქვს სავსეო, ის კი არა თუ საცვალის და ორიოდ სიკითხავი წიგნის მეტი შიგ არა ედო რა. მე ჩუმად ვიბღვირებოდი, ტუჩებს ვიკენეტდი, მაგრამ რას გავაწყობდი.

ბოლოს ვახშამიც გავათავეთ. დასაძინებლად აგვიყვანეს ზემოდ ყავრულში, საცა ორი ადამიანი ძლივს მოთავსდებოდა, იქვე ინახავდნენ ხორაგს, ხარიხაზედ ჩამოკიდებული იყო ბლომად ხილის ჯაგნები და ლორები. სწორედ ამ ხარიხის ქვეშ იდგა ტახტი, აი ამ ტახტზედ მიწვა ჩემი მეგობარი, ხურჯინიც თავ ქვეშ ამოიდო და მალე ტკბილად ჩაეძინა. მე კი მივჯექ კუთხეში და შიშისაგან არ მინდოდა დაძინება. აგერ შუა ღამეც გადვიდა და ჩამი-ჩუმი არ საიდამ ისმოდა. ბოლოს მეც ძილი მომერია, თავი მივდე მისაძინებლად. მალე გათენებამაც მოატანა, უცებ ბურანში მომესმა ქვემოდამ რალაც ხმაურობა, თურმე ჩვენი მასპინძლები ელაპარაკებოდნენ ერთმანერთს. მაშინვე ყური მივადე იატაკს და გავიგონე გარკეეეით შემდეგი სიტყვები, ქმარი ჰკითხავდა: „მაშ ორივ უნდა დავხოცოთ?“ ცოლმაც უპასუხა: „რასაკვირველია ორივე.“ მეტი ველარა გავიგონე რა, შიშით სული დამელია, სულ გავინაბე, ცოცხალ-მკვდარი ვიყავ. შიარალოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გავაწყობდი მე იმათთან! ბადავხედე ჩემ მეგობარს, დალალულს მკვდარსავით ეძინა! მე რომ დამეძახა, ან ყვირილი დამეწყო, რა გამოვიდოდა! გაქცევა ადვილი იყო, მარამ ეზოში რომ მგელივით ძაღლები ჰყავდათ, ხომ ცოცხალს არ გამიშვებდნენ. სული ყელში მებჯინებოდა. პატარა ხანს იქით მოისმა კიბეზედ ფეხის ხმა, გავიხედე ჯუჯუტანიდამ და დავინახე თითონ სახლის პატრონი, რომელსაც ერთ ხელში შანდალი ეჭირა და მეორეში დიდი დანა. ნელ-ნელა ამოდიოდა, ცოლიც უკან მოსდევდა, შემოსვლის დროს შანდალი გარდასცა ცოლს და თითონ წყნარად, ფეხთშიშველა შემოვიდა, ცოლი გარედამ უნათებდა და თან ხელს აფარებდა სანთელს, რა არი შუქზედ არ გამომლვიძებოდა და ქმარს ეუბნებოდა: „წყნარა, შე დალოცვილო, წყნარა.“ აი, მიუახლოვდა ჩემ მეგობარს, ვეებერთალა დანაც ხელში უჭირავს. იმ დალოცვილსაც რომ ყელი გადულეღია... ეს ეს არი მიიტანა კიდეც დანა და... ჩამოსჭრა ლორი, რომელიც სწორედ მეგობრის თავზედ ეკიდა ხარიხაზედ. ისევ ისე წყნარად, ფეხ აკრეფით, გავიდა ოთახიდამ და გაიხურა კარები. მიწყნარდა ყველაფერი. მე კი დავრჩი პირდაღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნისამებრ დილა ადრიანად გაგვაღვიძეს, მოგვიტანეს საუზმედ კარგი ლოზრი და ოზრი ვეებერთელა გასუქებული ყვერული, ერთი საგძლად და მეორე იქვე უნდა გაგვესაღებინა. დავხედე თუ არა ამ ყვერულებს, მომაგონდა წინა ღამის გაგონილი, ჩემი თავს ზარ დამცემი სიტყვები: „ოზრიე დავხოცოთ, თუ ერთიოზ?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება.

დაბეჭდილია	უნდა იყოს:	გვერ.		სტრიქ.
დამსხდარიყვნენ. .	ისხდნენ	1	—	9
შეკრთდა.	შეკრთა	3	—	6
მდომარეობაში . .	მდგომარეობაში	3	—	7
მარჯვნით	მარჯვნივ. . . .	8	—	4
მარცხნით.	მარცხნივ . . .	8	—	12
ხეხილს	ხილს.	23	—	10
რა საქმეა.	რაშია საქმე . .	25	—	15
ქისა ფულიანი. . .	ქისა ფულით. .	26	—	9
ფული იდო. . . .	ფული იყო. . .	27	—	7
შაშანებს	შაშანაქებს . . .	31	—	2
დასდგეს	დადგეს	32	—	18
გაულიმა	მიელაქუცა . . .	38	—	22
ერთს წამს. . . .	იმ წამსვე . . .	40	—	1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ერთი აბაზი.